მემორანდუმი

შპს კერძო სკოლა „ინტელექტ-პლუსსა“ და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ ფაკულტეტს შორის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ

ქ.თბილისი 5 მაისი 2019 წ.

შპს კერძო სკოლა „ინტელექტ-პლუსი“(შემდგომში „კერძო სკოლა“) წარმოდგენილი სკოლის დირექტორის, ორესტ პესჩანენკოს სახით და შპს „თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი“, ჰუმანიტარული ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“), წარმოდგენილი დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ირმა ბარბაქაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა, საგანმანათლებლო პროცესში მაქსიმალური ინტეგრირების, საჯარო, კერძო და უმაღლეს სკოლებს შორის პროგრამული მემკვიდრეობის აუცილებლობით, ვითვალისწინებთ რა ინფორმაციის, მოწინავე გამოცდილების ოპერატიულად ურთიერთგაცვლის მნიშვნელობას, ვადასტურებთ ორი სასწავლო დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობებისა და პრაქტიკული კომპონენტის ხელშეწყობისთვის ურთიერთთანამშრომლობას:

1.მემორანდუმის საგანი

წინამდებარე მემორანდუმით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას წარმართონ საკუთარი საქმიანობა ურთიერთთანამშრომლობის, პარტნიორობისა და ერთმანეთისადმი ხელშეწყობის პრინციპებზე.

2. მემორანდუმის მიზნები

2.1. მემორანდუმის მიზნებს წარმოადგენს:

ა) თანასწორუფლებიანი პარტნიორული ურთიერთობების და საგანმანათლებლო ხასიათის ინფორმაციის ორმხრივად ურთიერთგაცვლა;

ბ) მხარეები სთავაზობენ ერთმანეთს, მოსწავლეებისა და სტუდენტების საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით, ერთად დაგეგმონ და განახორციელონ სხვადასხვა შემეცნებითი ხასიათის ლექცია/ტრენინგები, კონფერენციები და ისარგებლონ ამისათვის „კერძო სკოლის“/„ფაკულტეტის“ აუდიტორიებით/საკლასო ოთახებით, სპორტული მოედნითა და ბიბლიოთეკით;

გ)„კერძო სკოლა“ ხელს შეუწყობს „ფაკულტეტის“ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების სტაჟირებას და პროფესიული პრაქტიკის გავლას წინასწარ შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

დ) „კერძო სკოლა“ და „ფაკულტეტი“ ერთობლივად მიიღებენ მონაწილეობას საჯარო ლექციების, საგანმანათლებლო და სპორტული ოლიმპიადების და კონფერენციების ორგანიზება/ჩატარებაში. აგრეთვე, ერთობლივი გასართობი და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებების მოწყობაში;

ე) „ფაკულტეტი“, კერძოდ, ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის პროფესორ-მასწავლებელთა გუნდი, უზრუნველყოფს “კერძო სკოლის“ პედაგოგებისთვის საგანმანათლებლო ტრენინგ-სემინარების ჩატარებას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან სწავლებისა და აღზრდის მეთოდებთან დაკავშრებით.

3.მემორანდუმის მოქმედების ვადა

3.1. წინამდებარე მემორანდუმი იდება უვადოთ, თუ მოშლილი არ იქნება ქვემოთ მოყვანილი პირობების გამო:

ა) მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, საპატიო მიზეზის/საფუძვლის გარეშე, მეორე მხარისათვის ერთი თვით ადრე მოშლის თაობაზე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.მხარეთა ვალდებულებები

4.1. წინამდებარე მემორანდუმის მხარეები ვალდებულნი არიან შეასრულონ მემორანდუმის პირობები კეთილსინდისიერებისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, წარმართონ წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული საქმიანობა ურთიერთშეთანხმებისა და კოორდინაციის პრინციპების გათვალისწინებით.

4.2. მხარეები კისრულობენ ვალდებულებას შეუთანხმონ ერთმანეთს ნებისმიერი პირობა, რომელიც შეიძლება შეეხოს მეორე მხარის კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

4.3 მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, გაუფრთხილდნენ ერთმანეთის საქმიან რეპუტაციას და მემორანდუმის ფარგლებში და მის გარეთ განხორციელებული ქმედებებით ზიანი არ მიაყენონ მეორე მხარის ქონებრივ და არაქონებრივ უფლებებს.

5.ცვლილებები და დამატებები

5.1. წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი სახის ცვლილება, შესწორება ან/და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი გაფორმებისა და ხელმოწერის შემთხვევაში.

6.მხარეთა ურთიერთობა

6.1. ამ მემორანდუმის საფუძველზე წარმოებული მხარეთა ურთიერთობა არ ნიშნავს მხარეთა შორის რაიმე სახის ასოციაციის, კავშირის ან/და გაერთიანების შექმნას.

6.2. მესამე პირებთან ურთიერთობებში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება იმოქმედოს მეორე მხარის სახელით.

6.3. მხარეები საქმიანობას წარმართავენ პარტნიორობის, ურთიერთპატივისცემისა და ერთმანეთის საქმიანობაში ჩაურევლობის პრინციპებზე დაყრდნობით.

7. სხვა პირობები

7.1. მემორანდუმი არ შეიცავს სხვა რაიმე დამატებით წერილობით ან სიტყვიერ შეთანხმებას.

7.2. მემორანდუმი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ორივე მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

7.3 მემორანდუმით განსაზღვრული მიზნების რეალიზაციისათვის ,,ფაკულტეტს" და ,,კერძო სკოლას" შორის შესაძლებელია დაიდოს დამატებითი შეთანხმებები.

8. დასკვნითი დებულებები

8.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან.

8.2. ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, მხარეები ხელს აწერენ წინამდებარე მემორანდუმს იმ დღესა და წელს, რომელიც მითითებულია მემორანდუმში.

,,შპს კერძო სკოლა"
სკოლა „ინტელექტ-პლუსი"
მისამართი: ქ. თბილისი, გრიშაშვილის ქ.№ 51

დირექტორი ორესტ პესჩანენკო_____

შპს ,,თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის"
ჰუმანიტარული ფაკულტეტი
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ N31

ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანის მ/შ

ირმა ბარბაქაძე_____